

730  
1906/09  
F. 238

VI - 6 - 12

წილ. პირველი

კვირა, 26 მარტისა, 1906 წ.

№ 1

# ჭვეარი პაზოსა



78001

გამოდის ყოველ კვირას  
ღრს 3 მ. წ. ც. № 10 კაპ.



რედაქცია - ჯვარი ვახუშტის ქუჩა  
კათოლიკების ქუჩა № 5

ამ წლის 26 მარტიდან გამოვა სურათიანი ყოველ კვირ  
რული საემკლესიო საზოგადოებრივი გაზეთი

## „ჭვეარი პაზოსა“

სრულის პროგრამით

ეს გაზეთი გამოვა ყოველ კვირას 4 მხ., 26 მარტიდან წლის დამლევაამდე გაზეთი ედირება  
ყოველ 3 მხეიდან, ადგილზე ნუქური 10 კაპ. სეკის მიწერა მიიღება ტფილისში — 1  
კვირა კაპის რედაქციაში კათოლიკების ქ. № 5 კათოლიკეთა კლესიის, სხვაში წერა  
კათოლიკების კავშირულკეთუ სხვაგვარი კავშირულკეთუ ბ. მ. ქაუკაშვილით.



# სინიღისის თავისუფლება

სინიღისის თავისუფლება არის უძვირფასესი საუნი-  
კე ადამიანისთვის. სინიღისის თავისუფლება ჰქვამს  
მისში, რომ ადამიანმა იქონიოს თავისი საკუთარი ჭა-  
როვნება და თავისუფლად შეუძლოს თავის ჭაზრების  
გადაცემა. სათნოება, რომელიც სხვის ჭაზროვნების შე-  
დახვის ნების არ გვაძლევს, ეწოდების თაღვრანდობა, ანუ  
ჩვენებურათ მტუბლობა, გამტანობა, დამთმუნობა.

სხვის ჭაზროვნება, რომელიც ეწინააღმდეგება  
ჩვენს საკუთარ მსჯელობას, არ უნდა ვსდევნიდეთ ხვა-  
რამ საშუალებით, თუ არ შააკონებით და საბუთების  
წამოყენებით, მათი ახსნა—განმარტებით

ქრისტეს როდი უბრძანებია თავისი მოციქულე-  
ბისათვის, რომ ქვეყანა დაემორჩილებინათ სახარებისათვის  
ხრმლით, არამედ მხოლოდ ქადაგებით, სწავლით და სა-  
იდუმლოების მადლით, წარგებით, მომპოწაფებით და ს-  
წავლით, უქადაგეთ სახარება ვოველ გარეხილს,  
ნათელსა სცემდით მათი“. რასაკვირველია, ადვილად იგუ-  
ლისხმება, რომ კეთილ მოშურნეობა (კუჭიობა) შეიძლება  
შეუერთდეს სიბრძნესა და სიუფარულსა ქრისტიანობადას.  
თავგანწირულება, კეთილმოშურნეობა გვიზიდავს, რომ  
გავაგრძელოთ ჩვენი საწამებულო; სიბრძნე კი გვიჩვენებს რამ  
ვიხმაროთ ის დონისძიება, რომელიც უმეტესად და უკეთეს-  
სად შესაბამისია; დანაშაულებით ეს დონისძიება იმყოფე-  
ბიან მისში, რომ ჩვენს მოკამათს, როგორც განმსჯელსა,  
უნდა უჩვენოთ საბუთი და მიზნები, რომელსაც ვხმარობთ  
ქრისტიანობის აღსადგენად და დასამტკიცებლად. სიუფა-  
რული კვყვებებს, რომ ჩვენს მოკამათს შევუერთებდეთ  
მომეტებულს დროს როგორც ადამიანსა, კეთილი სა-  
წამებლის შქინეს, როგორც ძმისა, რომლის ბრუნებუ-  
ლობა მთელ თვით მის შეცდომამდე მოიხსნ და მაშინ კაცი  
უნდა სცდილობდეს მის გამოფხახას იმ უვიცილობადან და  
არა მის დაბრუნებასა და დაუბრუნებასა. უკუყვლია, ქრისტი-  
ანობა გვეჩვენებს თავისი სინამდვილის შარავანდელოთ,  
მკრამ ჩვენს მეზობელს შეუძლია დაინახოს იგი ნაკ-  
ლების სინამდვილით და ვერც გაგმტყუნებთ ამისთვის.  
იმ დროს ჩვენ გვმართებს შევიჩვიოთ და შევიკოთ  
სხვა ვოველი, რომელიც ჩვენსავით არ ფიქრობს და არ  
ჭაზროვნებს; ვინაიდან მაშინ ჩვენი მასთან შეთანხმება  
მალე მოხდება. როდესაც ერთი ერთმანეთისას გავიკეთ  
ერთი შუარის მსჯელობის საბუთებს უკეთესად ავიწინ  
დავიწინით,

თუ ჩვენთვის სავალდებულო კანონია, რომ ცოდ-  
ვილსა და ზნეობრივ სისწულეში შეიფხვან კაცს, გამოვიც  
ხადოთ ჩვენი თანატოლები და დამობურება, ნუ თუ  
სიმართლე გვეჩვენებს, არ განუზიაროთ ჩვენი კაცთ მოუ-  
ვრეობა შეცდომილსა და უვიცს კაცს? ნუ თუ ჩვენ უკ-  
დანი არა ვართ უძღურნი, ვირემც ბოროტნი, უვიცნი  
და დაბრმავებულნი, ვირემც კატუტებულნი. დაუხლო-

დეთ ერთი შუარის და დაეწმენდეთ მრავალ ადამი-  
ანთ კეთილ მზებლობაზედ. სწორედ ამაში არსებითი  
კეთუ. უწინარეს ვოველის, ვიქინით მოიფიქროთ სწ-  
კადო მომზადებულობა, რომ შევიტნოთ, ვივიდოთ  
ველი ქრისტიანობა და მთავრით ვოველ კაცს კეთილ-



## საქართველოს სიკველიანი

წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადო-  
ბის წიგნთ-საცავის ხუცურად ნაბეჭდ წიგნზე, რ-  
ლიკზე № 442 (ირაკლი მეფის გამოცემა 1788  
ერთი ბეჭედი, რომელიც წარმოადგენს ისტორ-  
ის საქართველოს გაქრისტიანებისას, ძველი წეს-  
მოსაზრებისა და ახალი აღთქმის მადლის საჯულის დ-  
წყებისა საქართველოში. გარეშეშო ახლავს მხარ-  
ვრობა, რომელიც წარმოადგენს საქართველო-  
ქრისტიანობის გავრცელებას. ეს ბეჭედი სიგრძი-  
26 სანტიმეტრი, სიგანით—18. ბეჭედის შუა არ-  
საქართველოს მეფეთა ღერბი გარეშეშო უხატო-  
ზედა ნაწილი წარმოადგენს საქართველოს ნათლ-  
ლების სურათს; ამომავალს იორდანიდან და ზევი-  
გახსნილ ცაზე სული წმიდაა, რომლის მარჯვენით  
და მარცხენით ხატია ღრუბლებით მომავალი თით-  
თითო ანგელოზი. ბეჭედის მარცხენა გვერდზედ ხ-  
ტია წმიდა სილიბისტრო პაპი სამ გვირგვინოსან  
ჯვარი ხელში უპყრიეს, გულისაგან გამომავლის

ქართლის სხივის სვეტი ეკემა ძირს სფეროსა, ქვეყნის ბურთის), რომელიც წარმოადგენს საქართველოს კერბთ მსახურების დროს; ბურთის გვერდით ხატია ბომონი, კერპის ტაძარი, მათგან მარცხენით ეცხლის კერა, პეტრეს ნავი, ლუზი ნავი, მოსასწავებლად იმედისა მომავალ ცხოვრებაში წავთ საუდელდ უფადისა. მარჯვნივ კანკელი, მათ გვეით ბეჭდის ქვეშ მარცხენით ხატია სახარება, რომელიც პურობილ არს ოთხთა ცხოველთაგან მანგელოზი ნიშნავს მახარობელს მათეს, რომელმაც აღწერა იესო ქრისტეს კაცობრივი ბუნება და ძალა. მახარებელ მარკოზი ლომის ხატში. ნიშნავს ძლიერებას და იესო ქრისტეს მეფობას. მახარებელ ლუკა-ხარი შეგნებილი კაცობრივი სწავლითა და მეციკნერებითა. მახარებელ იოანე-არწივი რომელმაც იესო ქრისტეს ღვთაების ბუნება აღწერა სახარებაში დიდის და ღრმა მეტყველებით

ბეჭედის მარჯვენით ხატია იოანე ეპისკოპოსი აღმოსავლეთის რიტოსი. რომელსაც ცალ ხელში ეჭირავს კვერთხი ყვავილოვანი, ცალშიაც რჯულის წიგნი.

აი ამნაირად აცხოველებდნენ საქართველოს წინა პირნი თავიანთ ქრისტიანულ არსებობის ისტორიას. იმედი გვაქვს რომ საზოგადოებას შემდეგში გაეაცნოთ საქართველოს სიძველეები.



**წმინდა ნინო-ქართველთ განათ-  
ლებელი.**

14 იანვარი ქართველთათვის დიდებული დღე-საწალობია: საქართველოს ეკლესია უქმობს ამ

დღეს წმიდა ნინოს განმანათლებელის დღესასწაულს დასავლეთის ეკლესია იხსენიებს მას წმიდა ქრისტინეთ, დღესასწაულობს როგორც ივერიის განმანათლებელს 16 დეკემბერს. და მე წმინდა ორიოდ სიტყვა ვსთქვა შესახებ საკვირველ მოქმედებაზე მოციქულთა სწორ ქალწულისა, რომელმაც გააბრწყინა ჩვენი მხარი ქრისტეს მოძღვრების სინათლითა ჯერ კიდევ IV საუკუნოების დამდეგ.

დაუფიქარი და ძვირფასი მოგონებაა წმიდა ნინოზე სამუდამოდ იქმნება ცოცხალი საქართველოში: არა როგორც დამაფუძნებელზე ქრისტეს მოძღვრებისა: არამედ კიდევ ქართველთა ერში ჰგივებს ხსოვნა მომხიბლავი, მაღალ ზნეობრივი, სულიერი თვისებითა წმიდა ქალწულისადმი;

ეს ხსოვნა განსაკუთრებით ძვირფასია საქართველოსთვის.

საკმარისია მოვიგონოთ რომ რუსეთში არ არის არც ერთი მიყრუებული კუთხე, სადაც არ იცოდნენ ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოსე. მოქმედების ისტორია

იქ მომეტებულათ სოფლებში პატივს სცემენ ჩვენს განმანათლებელს: აურიცხველი მლოცველები ყოველ წლივ მოეშურებიან ბოდბისის მონასტრისაკენ, მდებარე სიღნაღის მახლობლად, რომ მოიკითხონ მიმოინახულონ წმიდა ნეტარ-ქალწულის საფლავი

იქ მუხების ქვეშ თქვენ მუდამ შეხედებით იაროსლაველსა და ტამბოველსაც. თითქმის სიბიროს ყველა გუბერნიებიდან მოეშურებიან რომ ილოკონ სამიტროპოლიტო ბოდბისის მონასტერში. მრავალი, ძალიან მრავალი ხალხი იკრიბება აქ. წარმოიდგინეთ ზამთარშიაც კი.

ჩვენ, მაგალითად მრავალჯერ შევხვედარიყართ თბილისში რუსის მლოცველებს ხალთა-გულით მხარზე მიმავალთ სიღნაღის მაზრისაკენ ბოდბისის მონასტერში და თუ დაეკითხებოდით სად მიდიოდნენ? მიიღებდით ყველასაგან ერთ გვარ პასუხს: - ჩვენ მივდივართ აღთქმით წმიდა ნინოსთან სალოცავათ და მოწყალების სათხოვნელათ“.

ბევრი ლაპარაკის მოყვარე აგისხნიდა რომ წმიდა ნინოს სასწაულ მოქმედება, ამათ გაიციენს პატარა ბროშურებით, რომლებიც დაქმონდათ რუსის სოფლებში, და მათ, რუსის გლეხებს ძალიან უყვართ ამ ბროშურების კითხვა და მრავალჯერ აქეთ კიდევ გადაკითხული. მრავალი ამ მლოცველთაგანი რამდენჯერმე კიდევ ყოფილა საქართველოში სალოცავათ.

წმინდა ნინო მართლათაც არის დიადი ისტორიული გმირი, და მოღვაწეობა მისი საქართველოში არის დიდებული და უკვდავი.



წმიდა ნინო-ქაჩთველთა გზნათლებელი

შესრულებითა ზეციური წინადადებისა, წმიდა ქალწულმა დასლო საუფუძველი შეურყეველი საქრისტიანო ერთა შორის.

სწორეთ ამ მისწრაფებით 14 იანვარი; აღიარებულია საერთო ღღესასწაულათ, დასდებს დიდ მნიშვნელოვანს საუფუძველს.

გაიხსენიოთ კოტათი და აღვადგინოთ ხსოვნა მკითხველთა შორის შესახებ საკვირველ სასწაულ მოქმედ გამანათლებელისადმი საქართველოში.

პირველი ქრისტეს მოძღვრება საქართველოსი და დროებით დაფუძვნა ქრისტეს სჯულისა, ეკუთვნის მოციქულთა ქადაგების დროს. მათიანე საქართველოსი იხსენიებს რომ ივერიელებმა პირველად ქრისტეს მოძღვარება მიიღეს წმიდა მოციქული ანდრიასაგან; მაგრამ მისმა ქადაგებამ ნიადაგი ვერ გაიკეთა მანამ წმიდა ნინო არ მოვიდა საქართველოში

წმიდა ნინომ სამუდამოთ დასრულიად შემოიტანა ქრისტეს მცნება საქართველოში. საუკუნება, რომელშიაც საქართველომ მიიღო ქრისტ ნათელი და დაჩრდილა იმერით სხვა მცნება, სარწმუნება; იყო ის საუკუნება როდესაც ქრისტეს რჯულის ქადაგებამ დაამსხვრია და მოსპო კერპ-თაყვანის ცემლობა, შეწირვა მსხვერპლთა.

ამ დიდებულ საუკუნოებაში, ბედნიერ საქართველოსათვის, დღეს მოვიდა საქართველოს საზღვრებში წმიდა ნინო და აღჭურვილი ქრისტეს სიყვარულითა შემოიარა ივერიის მხარე და ნიშნითა ვაზის, ჯვარით მან მონათლა შეიღნი ივერიისანი. ასეთია მოციქულთა სწორი წმიდა ნინო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, რომელსაც უკავია პირველი ალაგი.

მიღებასთანვე ქრისტეს სჯულისა ქართველებს ხვდა წილათ ხუთმეტო საუკუნების განმავლობაში დევნულობა მაჰმადიანთაგან, რომელნიც ანადგურებდნენ წმიდა ნინოს რგულ ვენახს და სამწყოს ცეცხლითა და ღვრიდნენ უმანკ სისხლსა.

მაგრამ შეუდრეკელი ქართველი ერი, მიუხედავთ იმდენ ტანჯვისა, მარტო მხნე გმირი მთელს აზიაში, საკვირველის თვე განწირულებით, გმირულათ იცავდა თავის სარწმუნოებას და შემორტყმული ყოველის მხრით მტრებისა, უმწიკლოდ შეითვისა და შეინახა აქამამდე წმიდა რჯული ქრისტესი.

განგებამ დაიცვა საქართველო... შენახინა წმიდად ქეშმარიტი სარწმუნოება და ეროვნება. საქართველო ატარებს ნამდვილს წამებულის სახელს.

ქეშმარიტი ჯვარი, — ამბობს ცნობილი მწერალი ე. მარკოვი, — უნებლიეთ გახდა სამშობლოთ

ქართველისა. სიმელო მისი არის ეროვნება და დაცვა სარწმუნოებისა — აი არსებითი მასალა მისი ისტორიისა...

ქართველი ერი, — განაგრძობს ის — არის ერი ქეშმარიტი ჯვარით მოსილი.

როგორც მხედარისა ჯვარით-მოსილსა, მთელმა ცხოვრებამ განვლო ლოცვაში და ჯვაროსნობაში მაჰმადიანთაგან ვერ იწვალა თითქმის მთელათ საუკუნებაში, მას ხელიდგან არ დაუგდია მახვილი სარწმუნოებისა, თუმცა მის მანტიანე არ იყო გამოხატული ნიშანი ქრისტეს ჯვარისა, მაგრამ ნაცვლათ ამისა იყო ჯვარი გამოხატული მის გულში, მართლაც რომ ჩაუკვირდეთ გავილლ მრავალ საუკუნოებს სარწმუნოებრივი-პოლიტიკური ბრძოლას ივერიის სამეფოსი და საღმრთო ისტორიას საქართველოს ეკლესიისა, იმ დასკვნამდე რომ არ შეგვიძლია აჩვენო სხვა რაიმე მიზეზები, რისთვის გამოველო ქართველს ერს ემოდენი ტანჯვა ჯაფა.

რა ძნელი იყო პატარა სახელმწიფოსთვის მრავალ საუკუნოების განმავლობაში მარტოთი დაცვა ქრისტიანობა და სამშობლო, ურიცხვი მტერის შემოსევისაგან, რომლებიც კლილობდნენ რომ მიცემულ წმიდა ნინოსაგან ჯვარი ვაზისა მაგიერ აღედგინათ ნახევარ მთვარე, მაგრამ ძლიერი სული და სარწმუნოება და სიყვარული ღვთისა და სამშობლოსადმი აძლევდა მხნეობას ჩვენ ძლიერთ და მხნე წინამხედართ ებრძოლათ და გაემარჯვათ ქრისტეს სახელით მოწიწებით (კრძალვით) განხილვით წარსული ბრძოლათა ივერიის შეიღთა უთვალავ მტერთა წინაშე, მივდივართ იმ დასკვნამდე რომ, შენახვისათვის უთვალავ წმიდათა ნაწილებისა ეკლესიებისა და სხვა წმინდა ადგილებისა სამშობლოსი და ეროვნების ასი წლის წინეთ, იმპერატორ ალექსანდრე I, მიიღო ჯვარით მოსილი მხარე თავის დიდებულ მფარველობის ქვეშ.

12 სექტემბერს 1901 წლის ქართველმა თავად აზნაურობამ იღღესასწაულა ასი წლის ნებაყოფლობით შეერთება საქართველოსი რუსეთთან, რომელმაც შერიცხა თავის სახლობის ერთ მორწმუნე ერად დასდვა ძლიერი კავშირი ძმობისა.

ისტორიამ იცის რომ ყოფილა ხალხთა შორის კავშირი, რაიმე ეკონომიურ საუფუძველზე; დამყარებული მას ახსოვს კავშირები ნათესავი ერისა, რათა ისინი შეხორცებულყვენენ, მაგრამ კავშირი ორ საქრისტიანო ერისა, რომლითაც ერთმა მათგანმანებაყოფლობით ჩააბარა თავისი ბედი დიდებულ რუსეთს და დასდვა ფერხთა წინაშე მონარხისა თავის უძლველი ხმალი და მტრისაგან არა დაპყრობილი გვირგვინი და რუსეთიაც მიიღო უნაგაროთ მფარ-

ველობა და შერიცხა თავის ერთმორწმუნე  
ერი ესითი კავშირი ჯერ არ ყოფილა და არც ახ-  
სოვს ისტორიას.

საქართველომ, რომელმაც გმირულათ რავე-  
ნიმე საუკუნოების განმავლობაში საკვირველის  
ბრძოლით შეინახა თავისუფლება, სარწმუნოება და  
ენა, რომლებიც არიან სანეტარო ხალხის ცხოვრე-  
ბაში, ეს დაუფასებელი საუნჯე ნებაყოფლობით გა-  
დასცა სხვის ხელში მხოლოდ კი არა რომ მოესპო  
არამედ უფრო განვეითარებინა კეშმარტათ ღიდე-  
ბული მოგონება იმ წმიდანისა რომელმაც, შემოი-  
ტანა იერუსალემის საზღვრებიდან წმინდა მოძღვ-  
რება ქრისტესი.

პირველი სხივი, რომელიც გამობრწყინდა  
ივერიაში არის ადგილი მცხეთის 12 მოციქულთა  
სახელობაზე აგებული ტაძარი.

ეს მართლაც შესანიშნავი სახსოვარი ქრისტი-  
ანული სიმდიდრე საქართველოში, სიღვანაც მოე-  
ფინა ქრისტიანობა მთელს ივერის მხარეს.

აქ, მართლ მორწმუნეთა გარდმოცემით, ინა-  
ხება წმინდა კვართი იესოსი, რომელიც მცხეთას  
მოიტანა აქაურმა მცხოვრებმა ელიოზმა, რომელიც  
იყო დამსწრე ქრისტეს ჯვარკმის დროს და რომელ-  
საც ერგო ქრისტეს კვართი წილის ყრით.

ამ კვართზე წმიდა ნინომ იცოდა საქართვე-  
ლოში მოსვლამდე და როცა მოვიდა იგი მცხე-  
თაში და გაიგო სად ინახებოდა წმიდა კვართი,  
ყოველ ღამე ლოცულობდა აქ და მას ესიზრმებოდა

საკვირველი სასწაულები ამ ადგი-  
ლისა. ამ ადგილს იქმნა დამსხვრეული კერპები.  
თაყვანისცემლობა და გამეფთა ახალი სხივი კეშმა-  
რიტებისა. წმიდა ნინომ მონათლა აქ ივერიელები  
რომელნიც იყვნენ მრავალ საუკუნოების განმავ-  
ლობაში გახვეული კერპთაყვანის მცემლობის წყუ-  
დიადში. აქ ჩაიყარა მაგირი და შეურყეველი სა-  
ფუძველი ქრისტეს სჯულისა წმიდა ნინოსაგანა.

აი ეს კურთხეული ნაყოფი საკვირველ გამარ-  
ჯვებისა წმიდა განმანათლებელ საქართველოსი,  
რომლის მოსახსენებელსა ეყოფთ.

სიონის ტაძარში, სადაც ინახება ძველი საქ-  
რისტიანო სწმიდე: ჯვარი ეაზისა წმიდა ნინოსი,  
თმის ნაწნავით შეკრული და უძვირფასესი ნაშთა  
ხს.

ბორის ესაძე.

უწმინდესისა მეუისა ჩვენისა მეთუ ბიო ბაბის  
განცხადება საფრანგეთის საძღვდელოებისადმ  
მათი ახლანდელ მდგომარეობის შესახებ.  
ჩვენ პატივცემულ ძმათა და სიყვარულთა შეილთა



სული ჩვენი სავსეა გულმოდგინე მზრუნვე-  
ლობით და გული ჩვენი აღვგზნების მწუხარებით  
როდესაც განვიზრახავთ და ვფიქრობთ თქვენთვის



კვალად როგორ შეიძლება სხვაფრივ იყოს? უკ  
მდგე გამოქვეყნებისა იმ კანონისა, რომელიც თ

ვისი სიმკაცრით მუსკავს და ფეხქვეშ ჰქელავს იმ პრავალ დროის საუკუნოებრივ კავშირთა, რომლითაც თქვენი დიდებული გვარი დაკავშირებული იყო სამოციქულო საყდართან და უცხად დაჰბადა კათოლიკე ეკლესიის და საფრანგეთის შორის უკადრისი და სანიადაგო საგლოველი მდგომარეობა.

უეჭველია, ეს შემთხვევა ფრიალ ძნელი შემთხვევაა. ეს გარემოება მეტად სამწუხაროა ყოველი კეთილი გონიერი ადამიანისათვის, რადგან იგი საზარალოა როგორც სამოქალაქო ეგრეთვე სასულიერო და სარწმუნოებრივ წყობილებისა და საზოგადოებისათვის; მაგრამ ეს გარემოება არაფერს გააკვირვებს და გააოცებს თუ მკირედ ყურადღებას იქონიება და დააკვირდებოდა საფრანგეთის ამ უკანასკნელ წლებში სასულიერო და საპოლიტიკო მიმართულებასა და მსვლელობას.

თქვენთვის პატივცემულო ძმანო. ეს გარემოება არ იყო მოულოდნელი და არც უეცარი. რადგან თვლით მაყურებელი მოწამენი ბრძანდებით: მთავრობამ ერთ მეორის შემდეგ სისტემატიკურად დაჰგმო სარწმუნოებრივი გრძნობანი საფრანგეთის ერისა. თანა დამსწრენი ბრძანდებით, თუ რანაირად შეურაცყო მთავრობამ თავისი საწინაღმდეგო კანონების გამოცემით; შეურყეველი და წმიდა ქრისტიანებრივი ქორწინება. დამოაშორა სარწმუნოებას სასწავლონი და სასწავლონი. დაავალა სამღვდელთა პირთ, რომ სამხედრო ბეგარა გადაეხადათ და ამითი შერყეულ ყოფილიყვნენ თავიანთ წოდებაზედ და სულიერ აღზდა განვითარებაზედ. გაჰფანტა და დაარბია მღვდელ-მონაზონთა შესაკრებელნი და მრავალი მათგანი გააღატაკა. ამაზედ არ დაჯერდა მთავრობა, გააუქმა სხვა კანონებიც, რომელნიც თქვენ უკეთ უწყით. მან გააუქმა წესი, რომელიც ჰგებდა რომ ყოველა საპარლამენტო სესიების განახლების დროს საზოგადოლოცვით იწყებოდა საქმე. მოსპო წითელ პარასკეობით ჩვეულებრივი სამგლოვიარო ნიშანი დიდ პარასკევ დღესა, გადაგდო ფიცი სასამართლოებში. განდევნა, აღმოფხვრა სარწმუნოების არსებობის ყველა საქმე და ნაშთი, რომელიც იყო დაშთენილი სასამართლოებში, სასწავლებელში სამხედრო, ზღვის უწყებაში, ერთი სიტყვით ყოველა საზოგადო შეკრებულისაგან. ეს და სხვა ამ გვარნი ზომანი, რომელიც ფაქტიურად აცალკევებდნენ ეკლესიას მთავრობისაგან სხვა არა იყო რა თუ არ მაჩვენებელნი ხენი, დარბული მოსასწავებლად, ადრე დაეშორებინათ და აფიციალად და სრულად განეცალკეებინათ იგი. იმ კანონის გამოცემლები მრავალჯერ გაიძახოდნენ მაშინათვე რასაც ეხლა ჩვენ ვამბობთ. რათა აეცილებინა ეს დიდი მწუხარება, სამოციქულო საყდარმა

არა რა დაზოგა: ერთ და იმავე დროს ამცნებდა და ამხელდა მათ ყოველას, ვინც საფრანგეთის საქმეების სათაურში იყვნენ რომ აეწონ დაეწონათ კარგად თუ ამ ნაირის მოქმედებით რა ნაირი უბედურება მოელოდა განცალკევების პოლიტიკას, მასთანვე სამოციქულო საყდარი ამრავლდებდა საფრანგეთის ერისადმი თავის ღმობრერ სახიერებას მოწყალებას, საბუთი ჰქონდა სამოციქულო საყდარს რომ მადრიელობის ნიშნათა საფრანგეთი მას შეუსმენდა და შეაყენებდა თავის დამღუპვე მიმართულებას. მაგრამ; გაგვიგათ! ყოველი კეთილი სამსახური და ცდა ჩვენი თუ ჩვენი მოსაყდრისა ამაოდ დარჩა: სარწმუნოების მტერნი გამოვიდნენ ძლევა შემოსილნი ძალითა შელახეს შეურაცკვეეს თქვენი კანონიერი კათოლიკედ საერო უფლებანი. იმისთვის ამ სამწუხარო ჟმსა ეკლესიისათვის, ჩვენი სამოციქულო მოვალეობისა შემგნებლმა განვიძრახეთ და გადაეწყვიტეთ, აღვიმალლოთ ხმა ჩვენი და განგილოთ ჩვენი სული, თქვენ პატივცემულნო ძმანო, თქვენ საღვდლოებას და თქვენს ერს. თქვენ ყოველნი რომელნიც საცალკოდ ჩვენი მამებრივი სიყვარულით გიცვავდით მაგრამ უმეტესად ახლა როგორც სიმართლე მოითხოვს, უსაყვარელესად მიგიჩნევთ. საქირა დაშორდეს მთავრობა ეკლესიასაო. ეს დებულება მტკნარი სიცრუეა. სახიფათო შეცდომილება. კიდევაც რომ დავაფუძნოთ ამ პრინციპზედ, ის რომ მთავრობამ არ უნდა იცნას არავითარი სარწმუნოებრივი აღსარებაო. ეს პრინციპი იქნება შემაგინებელი (მგმობელი) ღმერთისა— რადან ღმერთი გამჩენი კაცისა არის ერთსა და იმავე დროს გამჩენი კაცობრივი საზოგადოებისაც; ღმერთი იცავს იფარავს თვის ქმნილებას და ჩვენც მათშორის გვიცავს და გვიფარავს. მაშ მოვალენი ვართ, რომ არა მარტო ჩვენ თვითეულმან საცალკეოდ აღვიაროთ იგი, არამედსა ზოგადოთ და საქვეყნოდ პატივი ვცეთ. კვალად ამ ზემოდ ხსენებულ დებულებაში არის ისეთი რამ, რაც ნათლად უარის მთქმელია; ზემთა ბუნებრივი წესიერებისა (გასაგრძობი)

რ ო მ ი.

საკუთარი კორესპონდენცისაგან. პაპი პიო X—ს ახალი ენჩიკლიკა. ამ თვის 19 ს ვატიკანის ოფიციალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა პაპის ახალი ენჩიკლიკა (საყოველთაო ეპისტოლე იტალიის ყველა ეპისკოპოსთა მიმართ, ამ ეპისტოლემ ყველა დიდ განციურებაში მოაყენა, რადგან ძირითადად სკულის პიო IX და ლეონ XIII დაღვნილებას იტალიის მთავრობასთან საპოლიტიკო მიმართულების შესახებ. უკვე უწყებულა რომ 1870 წლის აქეთ, რაც

რომში დამყარდა იტალიის მთავრობა, პაპებმა გამო-  
სცეს ბრძანება „non expedit“—არა ჯერ არსაო,  
რომლითაც აუკრძალეს კათოლიკეებს მონაწილეობა  
მიეღოთ მთავრობისთან საპოლიტიკო და საპარლამენტო  
საგნებში. ეს აკრძალვა დღემდე ძალაში იყო. როცა არჩეულ  
იქმნა პიო X. ყველას ეგონა, ამ საგნის შესახებ საჭირო  
ცვლილებას მოახდენდა. ამისთვის ბევრი მითქმა—მოთქმა  
დაიწყო. მაგრამ პაპმა მალევე ყველა გააჩუბა, გამოსცა საგანგებო  
წერილი და გამოაცხადა: ხსენებული საგნის შესახებ არავითარი  
ცვლილება მოგვიხდენია და ყველა დადგენილი განკარგულება  
ისევე ძალაში არისო. გარნა ჩვენ კი იმ თავიდანვე შევნიშნეთ  
და კიდევაც „ივერიის“ №259-ში 1908 წ. გამოვთქვით  
ერთს ჩვენს წერილში ეს აზრი: „მოსალოდნელია რაიმე  
გარდაწყვეტილება მოახდინოს, მალე, როგორც შესცავალის  
დღევანდელი გარემოება იტალიელი კათოლიკეებისათვის.“  
ეს შიშნდელი ჩვენი აზრი დღეს ფაქტია.

პაპი აიძულა დღევანდელმა საყოველთაო გარემოებებში,  
რომ ასე მოქცეულიყო. თუმცა ევროპაში დიდხანსი  
დამკვიდრებული დემოკრატიული მართებლობა და  
ბიუროკრატის ადგილი აღარა აქვს, მაგრამ ზოგიერთ  
დასს, როგორც არან უკიდურეს ლიბერალთა, სოციალისტთა  
და ანარქისტთა დასები, აღარ მოსწონს ესრეთა ყველასაგან  
მოწონებული და შეწყნარებული მმართველობა. უნდათ  
გადაასხვათერონ, გადაავიწონ და დაფუძნონ იმისთანა  
პრინციპებზედ, რომლებიც მოკლებულია უმალეს ზნეობრივ,  
წესრებრივ და საკეთილდღეო იდეალებსა. ესრეთი  
დასები დღითი დღე ძლიერდებიან და ერთსაღმრთა  
დაპირებათა წყალობით ხშირად მმართველობის უმალეს  
ადგილებსაც კი ხელში იგდებენ. მერმე საზოგადო  
სიკეთეს და კეთილდღეობას-კი აღარ ემსახურებიან,  
როგორც ქვეყანას პირდებოდენ, არამედ თავიანთ  
საკუთარ და პირად ინტერესებს. ევროპაში ბევრი  
დაგვიანდა ამისი მაგალითი. კმარა, დავასახელოთ  
იტალიის საერო განათლების მინისტრად ნამყოფი  
ნაზი. ეს სანამდე მინისტრი იყო, თავის პირიად  
ინტერესებისათვის რაოდენათაც კი შეიძლოა,  
გაფლანგა ფული იმ თანხიდან, რომელიც  
გადაღებული იყო საერო განათლებისათვის.  
ქვეყანა აღელდა, როცა გამოცხადდა მისი  
ესრეთი საპარტეზინო საქმე. მთავრობამ  
გამოძიების შემდგომ, გადაწყვიტა მისი  
დაპატიმრება, მაგრამ ნაზიმ საზღვარ გარეთ  
გაქცევა მოასწრო. დღეს პარლამენტებში  
ხშირად ვხვდებით ბევრ ამისთანა უზნეო  
პირებს, რომლებიც საქმიან, დიდს ვნებას  
ამიზნებენ საზოგადოებას და სიტყვით კი  
სულ სხვას უქადაგებენ ხალხს და ყველას  
ვაბედნიერებს მპარდებიან, ცხადად აღმოჩნდა,  
რომ

ამ ხსენებული დასების მიზანი და მისწრაფება  
სხვა არა არის-რა, თუ არ საზოგადოების და  
ცემა არა მარტო ზნეობითა და სარწმუნების მხრივ  
არამედვე ეკონომიურადაც. ამ გარემოებებში  
პაპი დიდად დაფიქრა დაიძულა, რომ მალე, სანამ  
კიდევ დრო იყო, ეშველა იტალიაში ამ საყოველთაო  
სენის შეჩერებისათვის. რადგან პაპს კარგად  
შეგნებული აქვს, თუ როგორ აღვიწყო უერის  
ჯურღმულში ჩადება, თუ მას სინდისიანი კარგი  
ზნეობით განვითარებული და სწორე განათლებით  
აღჭურვილი წინამძღვრები არა ჰყავს. ამისთვის  
ყველა სიძნელეს დასძლია და მოსპო ი უწინდელი  
საპოლიტიკო აღკრძალვა non expedit. დღევანდელი  
ენიკლიკა მეტად შესანიშნავი და პაპს ანიჭებს  
იმ უპირატეს ადგილს, რომელიც ეკუთვნის ერთს  
საყოველთაო ბედნიერებისათვის ნამდვილს  
მხრუნველს. ეს წერილი კარგად ერკველია. მოკლედ  
გაეცნობთ მის შინაარსის უმთავრეს აზრს.

ეპისტოლეს საფუძვლიად ის დედა აზრ აქვს,  
რომელიც გამოსცა პაპმა თავის პირველ ენიკლიკაში,  
ესე იგი, „განახლება ყოვლისა სფრისა ქრისტეს  
მიერ“ ასპარეზი კათოლიკე მოქმედებისა მეტად  
ერკველია, ამბობს პაპი და არც ერთს საგანს  
განაძევებს, რაც-კი ეკუთვნის ეკლესიის ლეთიურს  
მისისა. ამისთვის მას ეკუთვნის განაერცოს,  
მოძუნოს ოჯახობასა და საზოგადოებაში რაც-კი  
მოყვისისათვის სასარგებლო და კეთილია. ქვეყნის  
ცივილიზაცია, ქრისტიანობრივი ცივილიზაცია,  
ეს ვგოდნად ნამდვილი, ვგოდნად გამძლე და  
ვგოდნად ნაყოფიერია, რაონათაც ცხადი და  
ნამდვილი ქრისტიანურია. ეს ცივილიზაცია ვგოდნათ  
დაცემა და მვენებული შეიქნება საზოგადოებისათვის,  
რაოდენათაც იგი დაშორდება ქრისტიანურს  
იდეასა. საგნის შინაარსის გამო ეკლესია თვის და  
თად ქრისტიანობრივი ცივილიზაციის პატრონი და  
მფარველია. ესრეთი ფაქტი გაელილ საუკუნეებში  
შეიქმნა საფუძველი სამოქალაქო კანონმდებლობისა.  
ყველაზე უკეთესი მთავრობა მაშინ იქნება,  
როდესაც იგი ყველასფერში განამტკიცებს  
ქრისტიანებრივს ცივილიზაციას. ეკლესიისათვის  
და საზოგადოებისათვის რა სიკეთე იქმნება,  
რომ ვგოდნი კათოლიკენი, შერთებულის ძალით,  
შრომობდნენ ყველა ჯეროვანი საშუალების ხმარებით,  
რათა მოისპოს უწესობა, განერცელდეს ქრისტიანებრივი  
ცივილიზაცია და სიპართლეზედ დამყარდნეს  
მთავრობის კანონები. ვნაიდგან ქვეყანაზედ  
ხშირად ცვლილება მოხდება და რაც უწინ  
სასარგებლო და საჭირო იყო, ის ახლა ხშირად  
გამოსადეგი აღარ არის. ამისათვის ეკლესიისათვის  
ის ნიქი აქვს, რომ დროების მოთხოვნილებას და ცვლი-



ლებას შეუთავსდეს და შესცვალოს თავისი მიზანობა, გარდა ზნეობისა და სარწმუნოებისა, რომელნიც მუდამ უცვლელნი არიან. ახლა კათოლიკების მოძრაობის სათავეში თუ საგულდაგულო კათოლიკენი არ უდგანან მოთავედ ვერასფერს კეთილს იპოქმედებენ და საზოგადოებას ენებას პოუტანებენ, რადგან არ ექმნებათ ძალა და ენერგია, რომ დასძლიონ ყველა სიძნელეს და გამძლეობა იქონიონ კეთილის წარმოებაში. ამისთვის საკი რთა ერთობა კათოლიკობისა. ამ მიზნის მისაწევნათ საქირთა დაწესება საერთო ერთობისა „unione popolare“, რომელშიაც შეიკრიბოს ყველა კლასის და წოდების პირნი ერთი ცენტრალი ორგანიზაციის წინამძღვრობით. საყოველთაო მიზნის გამო, სხვა დასხვა საეკონომიო დაწესებანი თავის—თავდა შეუერთდებიან ამ საერთო სოციალ ცენტრს, ვგრეთვე სხვა სამოქმედო ორგანიზაციები, რომლებიც მუდამ ქრისტიანურ პრინციპზე უნდა იყვნენ დამყარებულინი.

ახლანდელ დროში კათოლიკების ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის არ კმარა ხმარება იმ საშუალებებისა, რასაც ახალი პროგრესი იძლევა, საკიროთა კვალად იმ საშუალებების გამოყენებაც, რომელსაც სამოქალაქო წესწყობილობა ანიჭებს, ვინაიდან მთავრობის აწინდელი წყობილობა ყველას განურჩევლად აძლევს უფლებას, რომ მიიღონ მონაწილეობა სამთავროს საქმეში. კათოლიკებსაც შეუძლიათ. ქვეყნის საკეთაღდლოდ, გამოიყენონ ეს უფლება სხვებზე უფრო უკეთესად, დაიმსახურონ ავტორიტეტობა უმაღლესი კეთილის წარსამატებლად. დღევანდელი საზოგადოების საკეთილდღეო უმწვერვალესი ინტერესი გვაიძულებს, დასძენს პაპი, პიო და ლეონის საპოლიტიკო დადგენილებას ცვლილება მიესცეთ, რომ კათოლიკები მიიღონ მონაწილეობა მთავრობის საპოლიტიკო საქმეებში. ამ ნების მიცემით კათოლიკები ვალდებულინი ხდებიან ახლავე სიბრძნით და სერიოზულად შეეცადონ და მოემზადონ საპოლიტიკო ასპარეზზე, რათა, როცა დრო მოვა, უშიშრად წარდგინენ და მიიღონ ისეთივე გამრავლება, როგორათაც აქამდინ იმარჯვებდნენ სამოქალაქო დემონსტრაციულ არყვენებში. კათოლიკების მოძრაობა და მოქმედება ნამდვილი კათოლიკური არ იქნება, თუ არ ექვემდებარება საეკლესიო ავტორიტეტობას. ჭკრთვე ნამდვილი ქრისტიანური ცივილიზაცია არის ქრისტეს სახელით და მისი დროის ქვე მესლელობა, ამისთვის კათოლიკების საარჩევნო საქმეები საკიროთა ექვემდებარებოდეს ეპისკოპოსების განკარგულებას.

ამასთანვე პაპი ბევრ სასარგებლო დარიგებას აძლევს ვრს და სამღვდლოებს, რათა ერთმანერთში

კეთილ განწყობილობით კარგად მოაწყონ არჩევნების და სხვა საერო კეთილი საქმეების ორგანიზაციები.

უკეთუ ყველამ ერთგული ყურადღება მიაცქია პაპის ახლანდელ დარიგებას, მაღე იტალიის პარლამენტი შესაძნეველ შეიცვლება და ერის მდგომარეობაც ბევრად გაუმჯობესდება. ამითი მთავრობის დასიც გაძლიერდება.

ახლა მთავრობის და პაპის შუა კიდევ არის ერთი შეტად სინტერესო საკითხი. ვნახოთ, ესეც როგორ დაბოლოვდება.

იტალიის მთავრობამ, 13 მაისისს 1871 წელს, რომის დაპყროვის შემდგომ, გამოსცა კანონი და დაადგინა, რომ ხაზინამ პაპს წელიწადში აძლიოს 3.225.000 ფრანკი, რომლითაც პაპს შეეძლოს გაძლიო ყველა იმ ხარჯისათვის, რასაც კი მოითხოვს თავისი საყდრის საკიროება. მასთანვე მთავრობამ დასძინა ეს ვალი რომის საყდრისადმი სამუდამო და ნაკონანლოურია, ამისთვის არას მიზნებითარ უნდა მოისპოს მისი გადახდა. ამ ფულიდან პაპს, დღეს აქნობამდინ, ოცდა თუთხმეტე წლ-ს განმავლობაში, სრულებით არასფერი მიუღაა, რადგან პაპი თანახმა არ იყო, რომ მთავრობამ ჩამოართვა და თვით გაბატონდა. თუმცა არც ახლა არის კმაყოფილი, გარნა იგი ესრეთი მოქცევით, უფლებას არ კარგავს მოითხოვოს და მიიღოს ეს ფული. დღეს ეს სუმა ასოც მილიონს ფრანკზედ მეტს შეადგენს. თუ პაპმა დღეს მთავრობას მოსთხოვა ეს ფული, მთავრობა უარს ვერ ეტყვის თავისი კანონის ძალით. მაგრამ ვერც შეიძლება ამოდენა ფულის ცოტა დროში გადახდას. ეს საკითხი ახლაც ყველას ინტერესებს. ვნახოთ პაპის საუცხოო პრაქტიკული ნიჭი ამ რთულს საგანს როგორ დააბოლოვებს, თუ მოინდობა მისი შეხებაც.

X. —

რომი და ქრისტიანობა საპარტიკულოში.

ამას წინად 1902 წ. მარტის მოგზაურში № III დაქსწერე: არიან თუ არა ქართველ კათოლიკენი? მოეხყენე შოკლედ საბუთად მოწაობანი მათწინააღმდეგ რომელნიც გაიძახოდნენ წერილით, თუ პირადად. ამბობდნენ მის დღეში ქართველები კათოლიკენი არ ყოფილანო. მარტო სომეხ კათოლიკენი ყოფილან, არიან და სხვა არაფინაო. მე უდიდი დღემდის, იქნება ვისმე პასუხი დაეწერა და გაერჩია უკეთესად. მაგრამ ხმაც არაფინ ამოიღო არც ერთს რუსულს, სომხურს და ქართულს თურნალ გაზეთში. ამისთვის საკიროდ ესეც პასუხად, უფრო მოერკელოდ გავარკვიო ჩემი დაწერილი მუვე უკეთეს ნათლად გასაგებად ყოველთათვის.

ამის წინად 1902 წ. მარტის მოგზაურში № III დაქსწერე: არიან თუ არა ქართველ კათოლიკენი? მოეხყენე შოკლედ საბუთად მოწაობანი მათწინააღმდეგ რომელნიც გაიძახოდნენ წერილით, თუ პირადად. ამბობდნენ მის დღეში ქართველები კათოლიკენი არ ყოფილანო. მარტო სომეხ კათოლიკენი ყოფილან, არიან და სხვა არაფინაო. მე უდიდი დღემდის, იქნება ვისმე პასუხი დაეწერა და გაერჩია უკეთესად. მაგრამ ხმაც არაფინ ამოიღო არც ერთს რუსულს, სომხურს და ქართულს თურნალ გაზეთში. ამისთვის საკიროდ ესეც პასუხად, უფრო მოერკელოდ გავარკვიო ჩემი დაწერილი მუვე უკეთეს ნათლად გასაგებად ყოველთათვის.

ქრისტეს 12. მოციქულთა სარწმუნოების აღსა-  
რება მოკლედ თქმული, რომელსაც მერმე ვიტყვი,  
381 წ. მეორე კონსტანდინეპოლის მსოფლიო წმ.  
კრებაში უფრო ვრცლად წარმოიტქვა სარწმუნო-  
ების სიმბოლოდ. ქრისტეს ეკლესია სხვათა  
შორის, ასრე ახსენებს: „ერთი წმ-და კათო-  
ლიკი და სამოციქულო ეკლესიაო“. რათ ვა-  
მბობთ ერთ ეკლესიას? ამიტომ რომ ქრისტე იესო  
ერთი არის. ერთი ეკლესია დაამტკიცა კლდეზედა  
სარწმუნოებისა. ე. ი. წმ მთავარ მოციქულს პეტ-  
რეს ზედა, როგორც ბაძანა, შენ ხარ კლდე და ამას  
კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბქინი  
ჯოჯობეთისანი ვერ ერეოდენ მას იმისთვის წმ.  
პავლე მოციქულსაც თქვა. „ერთ ხორც და ერთ  
სულ ვითარცა იგი იჩინებით ერთითა მით სასოგბა-  
თა ჩინებისა თქვენისათა; ერთ არს უფალ, ერთ სარ-  
წმუნოება, ერთ ნათლის ღება“. ეფეს. დ იესო  
ქრისტეც თავის ანდერძში ამას გვასმენდა და სას-  
წავლად: „რათა ყოველნი ერთ იყვენენ, ვითარცა  
შენ მამაო ჩემდამი და შენდამი; რათა იგინიცა  
ჩვენშორის ერთ იყვენენ“. ი. ე. იხ. 21.

ვამბობთ წმიდასა, იმ-იტომ რომ ქრისტეს მად-  
ლის სჯული წმ. არის, საწმიდეს ქადაგებს მუდამ  
როგორც გვასწავლა: მამაო, ვითარცა მომავლინე  
მე სოფლად, მეცა წარვვლინებ მათ სოფლად, და  
მათთვის წმიდა ვყოფ თავსა ჩემსა, რათა იგინიცა  
იყვენენ წმიდა ქვეშაირტებით.

ვამბობთ კათოლიკესა, ე. ი. საყოველთაოსა,  
რომ ყოველნი ერთნი უნდა ვიყოთ სულითა და  
გულითა, თუ ქრისტიანნი ვართ, როგორც გვასწა-  
ვლის პავლე მოციქული: „რაოდენთა ქრისტეს მიმა-  
რთ ნათელიღეთ ქრისტე შეიმოსეთ. არა არს ურ-  
იება, არცა წარმართება, არს მონება, არც აზნაუ-  
რება, არა არს რჩევა მამაკაცისა არც დედაკაცისა,  
რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს  
მიერ“, გალატ. 27. 28.

ვამბობთ სამოციქულოსა, რადგან იესო ქრისტეს  
12 მოციქულთა შემაერთებელი წმ. პეტრეს ერთი  
ეკლესია იყო, როგორც ჰსწერია (იხ. საქარდ. სა-  
მოთხე) გიხაროდენ, ჰო ეკლესია ღვთისათ რომ-  
ლისა დამფუძნებელმან ყოველთა მან ღმერთმან  
საფუძვლად შეუქმრელად სიმტკიცისად წმიდა-  
ნი მოციქულნი დაგისნა ქვეშე, სიტყვისაებრ  
უფლისა, ვითარცა პრქვა თავსა მას მოციქუ-  
ლსა პეტრეს, ვითარმედ: შენ ხარ კლდე და ამას-  
კლდესაზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, რომელსა  
ბქენი ჯოჯობეთისანი ვერ ერეოდენ და მიგკენ  
შენ კლიტენი სასუფეველისა ცათისანი და რომელი  
შეგკრა ქვეყანასა ზედა, კრულიყოს იგი ცათა შინა,  
და რომელი განხსნა ქვეყანასა ზედა, ხსნილიყოს იგი

ცათა შინა. მათ. იე. 18, 49.-118 გვერდი. და აბაკ-  
მავე ეს იესო ქრისტემ წმ. პეტრე მოციქულსა, თავის  
ტანჯვის წინად მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: „სვი-  
მონ, სვიმონ, აჰა, ესერა ეშმაკმან გამოგიბოვნ-  
თქვენ აღცრად ვითარცა იფქლი, ხოლო მე ვევედრე  
მამასა ჩემსა შენთვის, რათა არა მოგაკლდეს სარწ-  
მუნოება შენი და ოდესმე მოიქეც და განამტკიცე  
ძმანნი შენნი. „ლუკ. კბ. 31. 32. ხომ ჰხედავთ, ქრ-  
სტე მარტო პეტრეს იცვამს ეშმაკის განსაცდელისა-  
გან, როგორც თავის წმ. ეკლესიის მეთაურსა და  
არა მეორე მოციქულსა და პეტრესვე აკუთნებ?  
უფლებასა, რომ მან უნდა გაუსწოროს ყველას შე-  
მცდრობა და დაამტკიცოს სარწმუნოებაზედა.

იესო ქრისტემ თავის ამაღლების წინად ხომ უფ-  
რო გარკვევით მას მიანდო მთელი ქრისტიანების  
წყება, როგორც ვკითხულობთ იოანეს სახარებაში:  
„და ოდეს ის-დიღნეს, პრქვა სვიმონ პეტრეს იესო;  
სვიმონ იონასო გიყვარება უფროს ამათსა. პრქვა მას  
პეტრე, ჰე უფალო შენ იცი, რამეთუ მიყვარ შენ;  
პრქვა მას იესო, აძოვენ კრავნი ჩემნი! პრქვა მას  
მერმეცა მეორედ, სვიმონიონს, გიყვარება, პრქვა  
მას პეტრე, ჰე უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყვარ  
შენ. პრქვა მას იესო, დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი.  
კვალად პრქვა მას იესო მესამედ, სვიმონიონასო, გიყ-  
ვარება, შესწუხნა პეტრე, რამეთუ პრქვა მას მესა-  
მედ გიყვარება, და პრქვა მას, უფალო, შენ ყოვე-  
ლი უწყი და ყოველი იცა, რამეთუ მიყვარ შენ;  
პრქვა მას იესო, დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი. ე. 15.

16. 17. გვერდი. პირველად ჩააბარა ერთიან ერის კა-  
ცი, როგორც კრავნი, მეორედ სასულიერონი მღე-  
დელნი და ბერნი. მესამედ ეპისკოპსნი, მთავარ ეპისკ-  
ოპოსნი და კარდინალნი ერთობიო. ესრეთი უფლუ-  
ბანი მარტო პეტრე მოციქულს კი არ მიანიქა, არამედ  
ყოველ წმ. პეტრე მოციქულის მოსაყდრე ყოველ  
პაპსა, რომელსაც უნდა ემწყსო წმ. კათოლიკე მკ-  
სია ამ ქვეყნის დასასრულამდის. ამისთანა მოცემულ  
ღვთიურ უფლების მიმართ არა კაცს ხმა არ უნდა  
ამოეღებოდეს. მაგრამ, ვის ეტყვი, ვის შეასმენთ  
ურწმუნოება ღუბავს ქვეყანასა, ცოდვა და სიბორო-  
ტე ხომ უფრო მეტად აბრმავებს და ყოვე-  
ლნიირს გზათა კვალს უსპოს ყოველ კაცსა;  
იესო ქრისტემ თავის მკვდრეთით აღგომის შემდ-  
გომ იხ. 40. დღესა ამაღლებამდის, საეკლესიო და  
ქრისტიანული წმიდა ცხოვრების ყოველი წეს რი-  
გი ასწავლა და განუმარტა სრულიად, როგორც უთ-  
ხრა ერთიან თავის მოციქულსა სახსოვრად: წარ-  
ვედით და მოიმოწაფენით ყველნი წარმართნი და  
ნათელსა სცემდით მათ, სახელითა მამისათა და ძი-  
სითა და სულისა წმიდისათა, და ასწავებდით მათ  
დამარხიად ყოველი, რაოდენი გამკენ თქვენ, და აჰა

ესე რა შე თქვენთანა ვარ ყოველია დღეთა ვიდრე ილსასრულამდე სოფლისა: მით 19. 20. რა მკვირა ქრისტეს წმიდა ეკლესიაში დარჩა წმიდად ქრისტეს ნამცნები ყოველიწეს რიგი შეუცვლელად და შეურყვევლად. მაგრამ კათოლიკე ეკლესიათგან გაცალკევებულ ქრისტიანთა საცინლად არ ჰქმარისთ ზოგიერთნი კეთილ წყობილებიანა რომის პაპებისა, ისევე სწავლულთაჲცა: თუმც კათეხიზში უწერაით და კიდევაც წაუკითხიათ: უეჭველად აღვიარებთ, ვითარცა მტკიცესა ქეშმარიტებასა, რომელ კათოლიკე ეკლესიასა არ ძალუძს შეცოდება, ანუ შეცდომა, და წარმოთქმა ტყუილისა ნაილად ქეშმარიტებისა, რომეთუ სული წმიდა სამარადისოდ მომკმედი, სარწმუნოთა მსახურთა მამათა და მოძღვართა მიერ ეკლესიისათა, სც ეს მას ყოველისაგან ცთომილებისა; ეპისტ. წევრ. 12. 1846. მოსკოვში დაბეჭდილ კათეხიზმოში 181 გვერდ. მინც კიდევ არ იზლიან თაიანთ უწმარწობასა, წამდა უწუმ თაიანთსიტყვა პასუხის მოსაწყობად პაპის შეუცთომლობა აქესთ სახსენებლად, თითქოს მათი საცხტხავი ყაენი იყვეს, მით უმანკო ხალხთაც სიმძულვარეს და ზიზღს უნერგვენ გულში, ეშმაკეულისაგით.

1869. წ. 8 დეკემბ. მთელი კათოლიკე ეპისკოპოზნი მოიწვია მსოფლიო წმიდა კრებაზედა ვიტიკანისა IX წმიდა პიო პაპმან რომში, სადაც 700 ეპისკოპოსზედ მეტნი იყენენ 1880. წ. აპრილის 24. პაპმან დაამტკიცა კათოლიკე სარწმუნოების დადგენილება (Constitutio de fide Catholica), რომელიც 665. მამათგან მიღებულ იქნა. მეოთხე სხდომასა, 1870 ივლისის 18. ქრისტეს ეკლესიაზედა პირველი მოძღვრებრივი დადგენილება (Constitutio prima de ecclesia Christi), რომ რომის პაპის, კათოლიკე ეკლესიაზედ ქონებული უღარესი უფლების სიმართლეს სარწმუნოებისა და ყოფაქცევის შესახებ ძიებაზედა, მიცემულ გარდაწყვეტილებაში შეუცდომლობის ქონებდა საუბრობდა, 535. ეპისკოპოსის თანხმობითა გარდაწყდა და პაპისაგან დაამტკიცდა ასრე:

„ქრისტიანული სარწმუნოების დასაწყისიდან ეიდრე აქამდის მისული ზეპირ გარდმოცემა მტკიცედ დარწმენილია სადიდებლად ღვთისა მაცხოვრისა ჩვენისა, და გინსაბრწყინებლად კათოლიკე სარწმუნოებისა საცხონებლად ქრისტიანთ ერობისა თანახმობითა წმინდა კრებისა ემოძღვრობთ და როგორც ღვთისაგან გამოცხადებულ სარწმუნოების ნაწილად დავადგენთ, რომ რომის პაპი როცა საყდრიდგან (ex cathedra) საუბრობს, როგორც მწყემსი და მოძღვარი მთელ ქრისტიანებზედა მქონებული სამსახურის ასრულებისა, უღარესთ სამოციქულო მფლობე-

ლობის ძალითა, საზოგადო ეკლესიის დაშვილიანებელ სარწმუნოებისა ანუ ზნეობის შესახებ მოძღვრებას რა საზღვრავდეს, წმინდა პეტრესავით მისდა აღთქმული ღვთაებრივის შემწეობითა, ის შეუცთომლობა აქეს, რომლითაც ღვთაებრივ მაცხოვარსა თავისი ეკლესია გაუმდიდრდებია სარწმუნოების ან ზნეობის შესახებ მოძღვრების განსაზღვრის დროს: მით რომის პაპისაც ესრეთი გარდაწყვეტილება თავის თვისით შეუცვლელია და არა თუ შემდგომ შეტანილი ეკლესიის თანხმობითა — უკეთუ ვინმემ, რომ ღმერთმა ნუ ქნას, ამ ჩვენს გარდაწყვეტილებას გაუბედოს წინააღმდეგობა, შეჩვენებული იყოს! ამ შეოთხე სხდომის შემდგომ კრება შესწყდა და გადიდვა სხვა რომელიმე დროსთვის საფრანგეთსა და გერმანიის შუა ამჟყდარი ომიანობის მიზეზითა. აგერ აქედგან ქეშმარიტება ცხადად სჩანს, რომ წმ. პაპი რომისა, არა თავის ცხოვრებაში უცოდველია, არამედ თავის საღვთო სიმართლის მოძღვრებაში სარწმუნოებასა და ზნეობის შესახებ შეუცდომელია. ეს რომ ასრე არ იყოს, მაშ როგორ უნდა აეხსნათ ქრისტეს ეს დაპირება, რომ არ მოგაკლდეს შენ სარწმუნოებთა, როგორც უთხრა პეტრეს, შენ ოდესმე მიიქცე და განამტკიცო ძმანი შენნიო,“ ლუკა კბ. კათოლიკე ლექსი სულ პირველად იხმარა ხელსამძღვანად სულიერ მწერლობაში წმ. იგნატი ღმერთ შემოსილმა მამათ მთავარმან, წინააღმდეგ იმ დროინდელ ერეტიკოსებისა, როგორც საზოგადო საყოველითა შეუცთომელ კანონად სარწმუნოებისა, <sup>1)</sup> ირინეო და ტერტულიანე ხომ უფრო უკეთესად სხვებზედ გარკვეულად სწერდნენ ამის შესახებ ესრედ: „ჯეროვან არს და შესაფერი, რომ ყოველიფერს სათავისა და დასაწყისისაებრ უნდა განვსჯიდეთ; ქრისტეს ქეშმარიტი მოძღვრება მისი მოციქულებისაგან გარდმოგვცა ჩვენ გარკვეულად. მხოლოდ მათ სცნეს ყოველი ქეშმარიტება. და რაც დაამტკიცეს ეკლესიაში. ყოველივე სრულიად ზეპირად გადმოგვცეს ჩვენ საუნჯისაგით სიმდიდრისა,“ „ეს ყოველი ეკლესიანი დამტკიცებულნი მოციქულთგან მცირე ასიასა, საბერძნეთსა და იტალიაში ეგრეთნი არიან ურთიერთთა თანა მოძღვრებაში, რომ თითქო ყოველნი ერთს სახლში იმყოფებოდნენ ერთის გულით და ერთის სულით შეკავშირებულნი, აქედგან ყვოლად ცხადია, თუ როგორ მტკიცედ არიან ისინი სამოციქულო ქეშმარიტებაზედა.“ <sup>2)</sup> ამისთვის როცა ატყდეს რამ ეკვენულობა რომელსაზე მოძღვრებაზედ, ჯერ არს მიმეართოთ სამოციქულო დედა ეკლესიისა მეტადრე უმთავრესს რომის ეკლესიასა, რომელთა-

<sup>1)</sup> ეპისტოლეში სმირნისა მ წამებულისათვის წმ. კოლიკაპისა.

ნაც მართებს უკელ ეკლესიათა შეერთება, ხოლო მერმინდელი ეკლესიანი, რომელნიც მოციქულთ სათავითგან არ იყვნენ წარმოდგარნი, სამოციქულო ეკლესიასთან შეირაცხვიან, როცა იმავე სამოციქულო სარწმუნოებაში ერთნი არიან, როგორც ერთ მონათესავენი! მით საზოგადო ეკლესიას აქვს სხვადასხვა უპაღლესი მოწმობა, ანუ პირობა, სიწმიდისათვის სამოციქულო ზეპირ გარდმოცემაში, რომ მუდამ იმართვის სული წმიდისაგან, რომელიც არის სული კეშმარიტებისა. ეკლესია არის საუკუნო ახალი დაბადებული, რომელიც არ დაბერდება, როგორც სვეტა და სიმტიცე კეშმარიტებისა, წინააღმდეგ კაცებრივ განგებ გამოგონებულ და უმართლო მოაზრებათა. მასთან მონაწილეობის ქონვა მიუცილებლად საჭიროა; ვისაც უნდა ქრისტიანეთაგან თავის სულის ცხოვნება. ა.)

პირველ საუკუნოებაშივე მოხდა ღიდი ამღვრეულობა კორინთოს ეკლესიის ერსა და მღვდელთ შუა, წმ. კლემენტე პაპის დროს. მათ არ მიმართეს თავიანთ საქმის გასარჩევად წმ. იოანე მახარებელსა ფევსოს, რომელიც ისევ ცოცხალი იყო ახლოს მათსა, არამედ მიჰმართეს შორს რომში წმ. კლემენტე პაპსა, რომელმანც თავისი ბრძანებითი წერილით დაამშვიდა მათი ეკლესია, თუმც კორინთოს ეკლესია რომის ეპარხია არ იყო. — აგრეთვე მოიქცა წმ. პოლიკარპო სმირნიის ეპისკოპოსი მოადგილე წმ. იოანე მახარებელისა, რამდენიმე საბუკო საცილოფელი საგნების გასარჩევად მიჰმართა რომში წმ. ანიკეტე პაპსა (157-168) და მასთან მოლაპარაკებთ კამყოფალი მობრუნდა თავი სამწუროში მის დროს. ასრე ამავნაირად მოქცეულან ქრისტეს მოციქულების მოწაფენი, წმ. კლემენტ რომის პაპი, წმ. იგნატი ღმერთ შემოსილი ანტოქის ეპისკოპოსი. წმ. პოლიკარპო სმირნიის ეპისკოპოსი. მრავალ შემთხვევაში წერილებითა და მოგზურობითა კავშირად ექმნენ ეკლესიების მონაწილეობასა მასთან.

წმ. იგნატი ღმერთ შემოსილი ასახელებს რომის ეკლესიასა „თავმჯდომარედ სიყვარულისა“ (ე. ი. მონაწილეობის კავშირად ერთობისა).<sup>1)</sup> წმ. ირინე ამბობდა: „რომის ეკლესიასთან უნდა იყვნენ შეერთებულნი ყოველი ეკლესიების მორწმუნენი მისი უაღრესის უმთავრესისათვის.“<sup>2)</sup>

წმ. კობრიანემ მას დროს არსობიდანვე ეკლესიებისა, რომის მეთაურობა უფრო ნათლოვანად გამოაცხადა: „პეტრეს ზედაო, ამბობს დაფუძნა ყო-

ველი ეკლესია, რომ ყოფილიყო ერთი ეკლესია. პეტრე არის სათვე და შუა ადგილი ყოველი ეკლესიებისა: მან თავის მეთაურობა გარდასცა რომის ეკლესიას: ამისთვის საეპისკოპოსო საყდარი იმ ეკლესიისა, საყდარი არის პეტრესი. რომის ეკლესია პირველი და უმთვერესი არის (აყვედრებენ ერტიკებს. ფორტუნატს და ფელიკსისს), სულ ამ ფიქრობენ, რომ ისინი (პაპები) არიან რომაელნი რომელთაც სარწმუნოება პატრივისცემით ქებულ მოციქულისაგან, ამიტომ რომ ურწმუნოება არადეს არ იქმნება მათი მავნებელი!... სხვა ადგილამბობს: „ერთი არის ნთლის ღება, ერთი არის სული წმიდა და ერთი არის ეკლესია დაფუძნებული ქრისტე უფლისაგან პეტრეს ზედა, დასაწყისისაებრ მიზეზით ერთობისა.“

ისევ წმიდა კობრიანე ეკლესიის ერთობაზე ამბობს. (ნოვატიან ერტიკოსების წინააღმდეგ): — როგორც მზეს მრავალი შარაფანდელი აქვს, მაგრამ მთელი კი ერთი არის. ჯერაც მრავალი ტოტი არის, მაგრამ ძალა სიხინტი მის ერთ ღერზედ დაკრებულთა: ესრეთვე საუფლო ეკლესია ყოველმთელ ქვეყანას თავის ნათელის შარაფანდელით უაწილებს, მაგრამ მხოლოდ ერთი არის მისი ნათელი, რომ ყოველგან მოფერილია და ყველას სწავლება, რითაც ერთობა არ ირღვევა! როგორც შარაფანდელი მზის თე ღებ და მოკიდებულ არიან რტნი ხის ღერზედა, ესრეთვე კეშმარიტ ქრისტენი ეკლესიაზედ არიან დამოკიდებულნი, ვინც მონაწილეობაში არიანს უცხო არს, ბილწი არ არ აქვს მის ნაწილი ქრისტეს ეკლესიაში, ვისაც ეკლესია დღდათ არა ჰყავს. მას ღმერთიც მამარ არ მიაჩნია. მისთანას წამებულებაც უსარგებლო მნება რომ გაყრილია ეკლესიისაგან (ა.)

საფუძველი და დასაწყისი ასეთი უფლებებისა არის კაცებრივი, არამედ ღვთაებრივ დადგინებულ გბიუ მოხდენილი არის: მისთვის რომის ეპისკოპოსს წმ. პიტრეს მთავარი მოციქულის მოადგილე არათავი ყოველთ მოციქულთა, ანუ ეკლესიის მთელთ მთავართა თუ თვით და თუშისი მოსაყდრემ ამისთვის ამბობს წმიდა იერონიმე: „ათორმეტ შორის ერთი გამოარჩა მთავრად დაიდგინა, რა ყოველი განყრილების მიზეზი შუილგან მოსპობი იყო; წმინდა. პეტრეს საყდარიან მონაწილობა“

ა.) წმ. ირინე და ტერტიულიანე მრავალგან თავიანთ წერილებში კდ. 19.

ტერტიულიანე წინაწერილ. ა. კ. მის წინაღ. ერტიკ. გ. თ. ზ.

1) ეპისტოლე რომის მიმართ დასაწყისსა.

2) წინააღმდეგ ერტიკოსთა. წიგ. გვ. 18. Ad hanc ecclesiam propter patientiorem principatitatem necesse est omuem conenire ecclesiam hoc est eos qui sunt undique consuetudine est ea quae ab apostolis traditio.

(1) კობრიანეს წერილნი, 55. 75.



ხილვის შემდგომ აუშენებია ეკლესია და ის სვეტი-  
 ცი მოუქცეოდა ეკლესიაში იბერიელთა. დღესაც  
 დიდთ მღვდელთა მთელ სპანიის ეკლესიებში და  
 უფრო საკუთრად ქობის ეკლესიას სირაკუზისა ან  
 არაგონელებისა, მრავალ სასწაულები განთქმული  
 ბილარის ღვთის მშობლის ხატ. ამის დამტკიცება  
 წერილობით უპოვნიათ სპანელებს იერუსალიმს, და  
 წერილი ყოვილა ვილაც სომხის პატრიარხისა.  
 1054. როგორც სწერენ ბოლანდელნი! წმიდანე-  
 ის ცხოვრება. ვენეტიკისა. 1810-1051. გვერდი.

მოციქულებმან იერუსალიმით ერთმეორისგან  
 განშორების წინათ, წამოსთქვეს აღსარება სარწმუნო-  
 ნებისა და ეგრეთ წარვიდნენ თავიანთ ხედვრ  
 ქვეყნებში ქრისტიანობის გასავრცელებლად თავი-  
 ანთ ქადაგებითა.

პეტრემ თქვა: „მრწამს ერთი ღმერთი მამა  
 ყოვლისა მპყრობელი დამბადებელი ცისა და ქვეყ-  
 ნისა... ანდრია: „და უფალი ჩვენი იესო ქრისტე,  
 ძე მისი მხოლოდ შობილი.“ იაკობმან: „რომელი  
 მიუდგა სულისა მიერ წმიდისა და იშვა ქალწული  
 მარიამისაგან.“ იოანემ: „იენო პონტო პილატეს  
 ზე ჯვარს ეცვა მოკვდა და დაიმარხა.“ ფილიპვე:  
 „ჯოჯობეთში ჩავიდა მესამესა დღესა აღდგა მკვდ-  
 რეთით.“ ბართლომე: „ზეკას ამალდა ზის ღვთის  
 ყოვლის მპყრობელისა მამის მარჯენითა.“ თომა:  
 „კვალად უნდა მოვიდეს განსჯად ცხოველთა და  
 მკვდართა.“ მათე: „მრწამს სული წმიდა, წმიდა  
 ეკლესია კათოლიკე.“ იაკობ ალფესი: „წმიდათა  
 წილდებულება“. თადეოს: „ცოდება შენდობა...  
 სიმეონ: „ხორც აღდგომა... მატათია: „საუკუნო  
 ცხოვრება... ამინ. როგორც მოგახსენეთ ეს მოცი-  
 ქულების სიმეოლო ნიკიისა და კოსტანტინეპოლ-  
 ის მსოფლიო წა. კრებათა მიერ შემუშავდა ვრც-  
 ლად.

რაც შეეხება ქრისტეს კვართის გარემოებას,  
 ასრე მგონია. ლონგინოზ არის თავი თავისთან  
 ხლებულვით მკველი იყო ქრისტეს ჯვრცმისა გო-  
 ლგოთაზედა. რა ნახა თვალით ყოელი უსამართ-  
 ლობა უწყალობა ურათა და სასწაულები, ქრისტე-  
 ეს სულის მიცემისა. დაიძახა მაშნვე: „მართლად  
 ძე ღვთისა იყო იესო!.. მარკ. იე. 39. ისევე დარჩა  
 ქრისტეს მკველების თავმდომარედ, რა ცხადი  
 სასწაულებით აღდგა მკვდრეთით ქრისტე, სხვა მკვე-  
 ლბთან ერთათ, შეაძლიეს ქრთ:მი ურიებმან სიმე-  
 რთლის დასაფარავად. მაგრამ ლონგინოზმან და მის-  
 მა მსახურებმან არ იკადრეს, წინააღმდეგ მათსა,  
 ცხადად აღიარებდეს ქრისტეს მაცხოვრებას. ამის-  
 განვე შესვიდულია ქრისტეს კვართი მისი ჯვარმ-  
 კველებისაგან. ქრისტეს აღდგომის შემდგომ მიჰმარ-  
 თეს მოციქულებს ისწავლეს ყოველი სარწმუნოე-

ბის ნაწილნი ქრისტეს მადლის სჯულისა და მოი-  
 ნათლენ ქრისტიანად, დასტოვეს ქვეყნიური სამ-  
 სახურნი და მოვიდნენ კაპადუკის კესარის თა-  
 ვიანთ ქვეყანას და იწყეს ქადაგება ქრისტეს სარ-  
 წმუნოებისა. მრავალნი გაქრისტიანდნენ და აზობ-  
 დნენ ღმერთისა. ქრისტიანობის გამრავლება  
 იწყინეს ურიებმან და უჩიივლეს; „ლონგინოზმან და  
 მისმა მსახურმან ულატესკეისარსა და ქრისტიანობას  
 ავრცელებენ თავიანთ ქვეყანაშიო... მოსამართლემან  
 გააგზავნა მტარვალნი და ორსავეს თავი მოჰკვეთეს  
 ლონგინოზსა და მის მსახურსაცა, ჩვენს ქართლის  
 ცხოვრებაში სხვაფრივ არის შეტანილი, კაპადუმი-  
 იელ ლონგინოზის წილ, კარსელ ლონგინოზად  
 დასახელებულია და დამახინჯებულიც არის ზეპირ-  
 გადმოცემაში, ეს იქიდგან ჩანს, რომ ერთხელ სხე-  
 ნებული ლონგოზ კარსელის სახსენებელი, უეცად  
 უჩინარდება ჩვენს ქართლის ცხოვრებაში და იკა-  
 რება! მიქაელ ასორების პატრიარხმან დასწერა თა-  
 ვის არხელოგიურ ახრულებაში გაგონილი, რომ  
 ლაზებს ქრისტეს კვართი მიწის ბუდეში შენახული  
 ჰქონიათ ეკლესიაშიო. კაპადუკის მხარე ადრე  
 ხომ ლაზისტანად ითვლებოდა უფრო, არც ახლა.  
 შორს. ლაზებიდგან მერმე მცხეთაში გადმოტანილი  
 იქმნება, რომელიც დარჩა მაჰმადიანების შემოსევა-  
 მდის ჩვენ ქვეყნის, როცა მოახრებდნენ ყოველგან  
 საქართველოში საუნჯებს მათი გადაკიდებული,  
 ქრისტეს კვართიც ჩვენი სასულიეროთ მიერ მიხ-  
 დენია დიდ კარლო იმპერატორს და ახლა საფრან-  
 გეთის ქ. არჟანთეიოლში არის რომელსამე ეკლე-  
 სიაში შენახული დიდიკარლო იმპერატორისაგან.  
 როგორც სწერია სასულიერო დღიურში მოყვანილი  
 მწერლისაგან. 1883. 27 თებერვალსა.

ესრეთი ცვლილება მოხდენილი ისტორიული  
 ცნობებისა ერთის მხრით მეორეს მხარეს გარდატან  
 გარდმოტანა საკვირველი არ არის, ამიტომ რომ  
 კაპადუკიის მხრივ და ანატოლოს მრავალი გეოგრა-  
 ფიული ქალაქ, დაბა, სოფლების და მთა ბარის.  
 მდინარების სახელებთან ერთად ჩვენკენ გადმოტა-  
 ნილია სამესხეთში და ჩვენგანაც მრავალგა გურია  
 იმერეთში, ქართლში და კახეთში, სადაც გადასახ-  
 ლებულან მესხები, თან გაჰყოლიან აქაური ისტო-  
 რიული ცნობებიცა მაგალითად ბიბაური ჰქვიან  
 ახალციხის ტაბახანის ბაღჩებსა და ბიბილური ჰქვი-  
 ან დვალეთის მთას კავკასიაზე არიან მრავალნი  
 სოფელ დაბები. გვარი და ნათესაობა! შორს რომ  
 არ წავიდეთ. მარტო ნინოს ჯვარი თავგარ-  
 დასაველი კმარა სამაგალითოთ, რადა და სად არ  
 გადატანილ იქმნა მეტანაკის წამების შემდგომ  
 ერთ ხანს მცხეთას, მერე პარხალის კლდის ნაპირ-  
 ში, მასუკან კაპუეტის ციხეში. შემდგომ ეწინააღ-

ჯვრის ეკლესიაში. ბოლოს ანის ქალაქში და მერ-  
მე და მერმე გაუჩინარდა სწერს ვარდანი. აისმა-  
ურქილდგან. ჩვენი ქვეყანა საქართველო (იმერეთი,  
მესხეთი და სხვა) თავიდანვე პირთამდის სავე ოფ-  
ლით, სკა ყოფილა გატენილი. ერთხელვე პირი  
ახლია და ვის არ ჩაურთვია შიდ თითები და არ  
ულოკიათ, იმ თავით ასიორებს, მერმე ეგვიპტელებს  
არიელებს, პარსებს, ბერძნებს, სომხებს, არაბებს  
და იმავე ურიებსაცა, რაც ცხადათ სხანს ქრისტეს  
კვართის ისტორიულ მოწყობილობისაგან! მ. ა. გ.

**უწმინდების მეუფისა ჩვენისა მეცხრე პიო პაპის  
გამოცხადება.**

მოწყალებითა ღთისათა შამა მთარის წიგნი აღმოსავლ-  
ეთელებისადმი 1848.

ღვთიური მნებელობისაებრ თენიერ რაჟმე ჩვე-  
ნი ღირსეულეების უშუაღლეს საყდარსა ზედა მოციქუ-  
ლისა პეტრესი აღმალღებული და ყოველი ეკლესიის  
მზრუნეაობა თავზედ აღებული, დასაწყისიდან მა-  
მად მთავრობისა ჩვენისა თვალხი ჩე ნნი მოვაქციეთ  
ფერად ფერად ქრისტეს მალეიარებელ გვართა ზე-  
და აღმოსავლეთთა, თანა საზღვარის მხარეთა რა  
ტიპიკონის მქონეც რომ იყოს, რომელსა ზედა ვსწრა  
ფ. ბთ განფენას მარტო ჩვენი წყალობისასა მრავალ  
თავთაებრ; რამეთუ აღმოსავლეთში მხოლოთ შობილი  
ძე ღთისა. ჩვენთვის კაცთათვის განხორციელე-  
ბული. გამოუჩნდა ქვეყანასა და ცხოვრების საშუ-  
აღითა, სიკუდილითა და აღგომითა თვისითა ჩვენთვის  
ცხოვრებისა მონიკება ისათნოა; აღმოსავლეთში  
იმავე თვით ცხოველ მყოფელმან ჩვენმან და შემ-  
დგომად მოწაფეთა მისთა დასაწყისიდანვე სახარება  
იგი ნათლისა და შვიდობისა იქადაგეს და მუნით  
მრავალი დიდგანთქმული ეკლესიანი, დაფუძენილნი  
მოციქულთაგან ბრწყინვალედ გამობრწყინდენ; კვა-  
ლად შემდგომად დროებისა და საუკუნოებისა სიწ-  
მიდითა და მოძღუარებათა აღჰყუავენდენ აღმოსავ-  
თის გვარის ეპისკოპოსნი, მოწამენი და სხვანი კა-  
ციცი დიდებულნი, რომელთა შორის ყოველს ქვეყა-  
ნასა ზედა დიდად ვანთქმულ იქმენ. ეგნატე ან-  
ტიოქელი, პოლიკარპოზს ზმრინელი, გრიგოლ  
ნეოკესარელი, გრიგოლ ნიესელი, გრიგოლ ნა-  
ზიანზელი, ათანას, ალექსანდრიელი, ბასილ კე-  
სარიელი, იოანე ოქროპირი, კირილე იერუსა-  
ლემელი, კირილე ალექსანდრიელი გრიგოლ  
გამათლღებელი სასოზბთთა ფერემ ასორელი, იო-  
ანე დამასკელი, და მოციქულნი სლაველთა კი  
რლღე და მეთოდოსი, გარდა სხვა უანგარიშო  
კაცთა, რომელთაც თავიანთი სისხლის დაღვრითა

ქრისტესითის. ან ბრძენათ წიგნების აღწერებითა და  
განთქმული სათნოებითა, ყოველთაღმი ღირსა უკ  
ვდავად მოსახსენებლად შერაცხილ იქმენ; დიდე-  
ბათა აღმოსავლეთულთა დაუმატებენ, კვაღად მრავ-  
ალნი კრებანი ეპისკოპოსთა, უმეტესად პირველი  
საზოგადო კრებანი შეკრებულნი აღმოსავლეთში  
რომელთა შორის კათოლიკე სარწმუნოების წინა  
მძღვარობითა მამად მთავართა მრომისათა, წინამღე-  
ვად კაცთა ხელოვნებისა, რომელნიც ახალ რაჟმე  
სახის იმ დროებით შემოღებას ცდილობდენ, გამ-  
ოუსარჩღდენ ცხ.დი სამართლით დაამტკიცეს; და  
ბოლოს ამავე დროებაში თუმცა არა მკირვედი რა-  
ჟმე ნაწილი აღმოსავლეთის ქრისტიანებისაგანი  
განეშორნენ წილდებეღობისაგან წმიდა საყდრი-  
სა რომლით არა ერთობისაგან კათოლიკე ეკლ სიისა,  
გვართა უცნობელთა ქრისტიანებრივი სჯულისა ზე-  
და იუფლეს აღმოსავლეთში აღმოჩნდენ მუნ არა  
მკირვენი შებიზნულნი ღვთიური მადლის ძლიერ-  
ებისადმი. ცხადად და პირის პირ უჩვენეს სიმტკიცე  
თავიანთი ქეშმარიტი სარწმუნოებისა და ერობისა  
კათოლიკე ეკლესიისა შორის მრავალ ფერი შეწუ-  
ხებისა, და ვრცლად გამძლე დათმენით იმ დროები-  
მწუხარებათა; და მარტო ცარიელი ქებით არ შეგვიძ-  
ლია აქედგან გარდაელა მამათ-მთავრებზედ მათისა უმ  
თავრესისა გპისკოპოსთა ზედა და არქი ეპისკოპოსთა,  
რომელთაც მრავალი წადიერებით იზრუნეს და  
შენიანხეს პირობა და სიმტკიცე თავიანთი კათოლი-  
კე ქეშმარიტი სარწმუნოების აღსარებასა შინა. და  
ამათი წადიერებითა და შემწეობითა მადლისა, მო-  
კლებით იმ დროების მწუხარებისა აღმოჩნდენ და  
პოვნილ იქმენ, არა მკირვენი მრავალნი რაცხე-  
ნი მორწმუნეთანი, რომელნიც კათოლიკე ერთობ-  
ბასა ზედა მტკიცედ დარჩენ..

აწ თქვენდამი უწინარეს ყოველისა მოვაქციეთ  
სიტყვასა ჩვენსა პატიოსანო ძმანო საყვარელნო  
შვილნო, კათოლიკე ეკლესიის წინამძღვარნო აღთქ-  
მის ყრპანო სხვადასხვა რიგისა და ქვეყნიერნო  
რომელნიც სამუდამოდ მტკიცედ ხართ სარწმუნო-  
ებასა და თანა ზიარებასა ამ წმიდისა საყდრისა,  
და ანუ შენდობად ცნობილი რამე შეცილებისა, იმავე  
საქებური სათნოებითა შეერთდით; და თუმცა აღ-  
რევე მოგწერეთ წიგნი პასუხის გებისა მრავალთა  
მიმართ თქვენგანისათა რომელთაგანცა მივიღე წიგ-  
ნი სიხარულისა, ოდეს რა მოწვენილ იქმნა უშუა-  
ღლეს საყდარსა მამათ-მთავრობისსა, და თანვე მეცხ-  
რესა დღესა ნოემბრისა. წელსა 1848 წარმოვეგზა-  
ვენთ წიგნი ჩვენნი სათემოთ, ყოველთა კათოლიკე  
ეკლესიის წინამძღვართა მრთელის ქვეყანასა ზედა,  
ხოლო აწ შესაფიართ ვრაცხ ამ საკეთარი მხო-  
ლო ჩემი წერილითა ილტყინებული სიყვარული და

ზრუნავიანობა ჩვენნი რომელი გვაქვს გულსა შინა თქვენთვის და თქვენი საქირიებისათვის მტკიცედ განსაჯადებლად თქვენდა დაგიმტკიცებთ; და ამ მიზეზისათვის კეთილ შესაფერად იქნა ჩვენდა მგზავრობა პატრივდებულ ძმისა ჩვენისა ინოკენტიო მთავარ ეპისკოპოსი სიდენიისა, რომელიც მოციქულად წარმოვავლინეთ კონსტანტინოპოლის უმღლეს კარზედ ოსმანიანთა ჩვენნი სახელის გასვლად წინა შე ძლიერ თვით მყრობელისა თათართა, და მადლოს მოსახსენებლად მისსად პირითა ჩვენითა, რომელიც უწინარეს წარმოგზავნა ცლოჩი თვისი მოსაკითხავად ჩვენდა; და მხოლოდ ვაშქნეთ იმავე პატრივდებულს ძმასა, რომ თქვენ და ყოველი საქმე თქვენი და კათოლიკე ეკლესიისა, რომელიდად განტქველ ოსმანიანთა უფლებების მუნ თვითმპყრობლობის დიდითა მზრუნველო?ითა ჩავაბაროს თქვენ; და მტკიცებულ-ვართ ფიქრსა შინა ჩვენთა, რომ იგივე თვით მპყრობელი თვისი ბუნებითი კათოლიკე ვარებითა შეგწყვისთ თქვენ, დიდათა სიტკობებითა და სიყვარულითა. თქვენ რაჰმეთა ზედა გამომსაქომაგებლად და მგზავრლად დადგრეს, და არაეის დაუტოვებს ვისმეს, რომ კათოლიკე სარწმუნოების მიზეზისათვის შეაწუხოს ერთი ვინმე ქვეშე მდებარეთა თვის თაგანნი.

თვით იგივე მთავარ ეპისკოპოსი სიდენიისა ჩვენნი სიყვარულისთვის წადიერებასა თქვენზედა მრავალი და ვრცელი სიტყვებით გამოუცხადოს სულიერ წინამძღვართა, დი მთავართა თქვენნი გვარისათა, რომელნი იპოებთან კონსტანტინეპოლესა, და შეედგომად მოზრუნე?ისა მისისა ჩვენდამი რაიმე შესაფერი საქმებისათვის, მოვიდეს და მარჯვე თავის დროზედ წარვიდეს სხვა ქვიყნებში აღმოსავლეთთა, და ჩვენნი მცმენიისა მებრ მიხედოს კათოლიკე ეკლესიათა, და სხვადასხვა ტიპიკონისასა, რომელნიც იპოებინიმ მხარეზედ, და ყოველ პატრივდებულ ძმათა ჩვენთა და საყვარელ შვილთა, ჩვენნი სახელისათვის მოგიკითხოსთ, და მრავალი სიყვარულით ილაპარაკოს მათთან, მათი ნუგეშის-საცემლად:

თვით მან ჩავაბაროს ამითი საშუალითა და სხვებსაც თქვენ შორის ეს წიგნი ჩვენი, გამოისაცხადებლად უწინდელი ჩვენნი ცნობისაებრ, სიყვარულისა და მოწყალებისა ჩვენისა კათოლიკე გვართა ზედა, და თქვენ ყოველთა მტკიცედ განგიცხადებთ რომელიც—არა არს ჩვენდა უფრო სანატრელი, გარდა მხოლოდ წინწყებასა უფრო მეტად კეთილსა ზედა თქვენი, და კათოლიკე სჯულისა თქვენდამი ამისთვის ოდეს გვესმა ჩვენ სხვისებითურთ, და ესცა რომ მიზეზისთვის შეწუხების გაელოლი დროებისა იპოებთან საეკლესიერო მნეობისა გვართა თქვენთა რაიმე ჯერეთ განურჩევლობა. ამისთვის სამოციქულო ხელემწიფებითა ჩვენითა გულ, ის ფიქრითა ვინებეთ რომ, შევეწიოთ უუწმიდეს

კანონისა და რიგისაებრ წმიდითა მამათა კეთილად და სარჩებლად ყველისი და რიგში ჩასადებლად. მაგრამ მიინცა და მიინც გვენებას, რომ შეუცვლელად დაიცვან საკუთარი კათოლიკე წესნი საეკლესიო მსახურებისა თქვენისა, რომელსა ჩვენ სამართლიერად პატრესა ვსცემთ თუმცავე იყვნენ განრჩეულნი რაიმეში ლათინთ წესისაგან; და პირველ წინამძღვართა ჩვენთა იგივე წესნი საეკლესიო მსახურებისა თქვენისა სიძველისათვის თავიანთისა გამდიდრებულად პატრივ-ცემულ იქნდათ და აღწერილინი არიან ჩვენსენაზედ, რომლით იგივე მოციქულნი და პირველნი მამანი იქცოდნენ, და რომელიც მასში დარიგებანი და მსახურებანი არიან, დიდ ბრწყინვალე დიდებითა და დიდებულებითა აღსრულდებიან; და მით კეთილ-მსახურ მოწმუნენი უფრო მეტად სწრაფობენ მიღებად და გასამდიდრებლად ლეთიური საიდუმლოებისა პატრივის-ცემა რომელიც იქვე სამოციქულო საყდარსა კათოლიკე წიგნთა ზედა მსახურებისა აღმოსავლეთის ეკლესიათა მოწმობენ მრავალნი სამართალნი, და განსაზღვრილობანი მამათ მთავართა ქრომისა, რომ დაიცვან უმანკოდ და შეუცვლელად:

საქმით იყოს აქედგან მხოლოდ მოხსენება სამოციქულო წიგნისა, უპირატესისა ჩვენისა ბენედიქტ მეთოთხმეტე პაპისა, მეტადრე ის წიგნი, რომელი იწყობს „მოთხრობილ არიან“ დაწერილ 26-სა ივლისისასა. 1755 (1) მათთვის ოდეს მოკლენ აღმოსავლეთის მღვდელთაგანნი დასაქლესისა შინა, არა მხოლოდ კადნიერება არს მათდა თავიანთი საკუთარი გუარის ტიპიკონისა აღსრულება სამსახურისა ლათინთ ეკლესიასა შინა, არამედცა იპოებთან სხვა და სხვა ადგილთა შორის მეტადრე ქრომის ქალაქსა შინა აღშენებულნი ეკლესიანი მხოლოდ მათი საქირიებისათვის, არიან კვლავცა მუნ მონასტერნი აღმოსავლეთის ტიპიკონის ქვეშე, და სასტუმრონი მათთვის განწესებულ არიან, კვლადცა სკოლანი, გინა სასწავლონი, სადაც შვილნი აღმოსავლეთის გვარისანი მხოლოდ მას ანუ სხვა სასწავლოში უწმიდეს მეცნიეობასა შინა განსწავლულ და საეკლესიო რიგით გაწერთნილ იქმნებიან.

გასაგრძობი

რედ. გამომც. ა. დ. მულაშვილი.

სტამბა „გუტემბერგისა“ ბ. ს. ეხაძე, სასახლის ქუჩა.